



გალტი & თსკარტი

ვაშენით შესაძლებლობებს

რეგიონალური საცხოვრებელი უძრავი ქონება

2024 წლის II კვარტლის მიმოხილვა

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8036

კახა სამყურაშვილი

სექტორული კვლევების განყოფილების უფროსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 4298

ზურაბ თავყელიშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | ztavkelishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8973

ძირითადი მაჩვენებლები ბათუმში

2 კვ 22

2 კვ 23

2 კვ 24

გაყიდვები
ბინების რაოდენობა

4,389

3,934

3,670

პირველადი

2,608

2,193

2,121

მეორადი

1,781

1,741

1,549

ფასი
\$/მ²

\$931


\$1,243

\$1,366



გალტი & ტაგარტი
კომპლექსური უძრავი ქონების განვითარების კომპანია

უძრავი ქონების გაყიდვების მახასიათებლები 2024 წლის II კვარტალში



სანაპირო ხაზი

გაყიდვების რაოდენობა
277 ბინა
საშუალო ფასი
1,995 \$ / მ²
საშუალო ქირა
N/A

ძველი ბათუმი

გაყიდვების რაოდენობა
233 ბინა
საშუალო ფასი
1,960 \$ / მ²
საშუალო ქირა
11.6 \$ / მ²

გონიო-კვარიათი

გაყიდვების რაოდენობა
108 ბინა
საშუალო ფასი
1,759 \$ / მ²
საშუალო ქირა
N/A

ახალი ბულვარი

გაყიდვების რაოდენობა
1,556 ბინა
საშუალო ფასი
1,337 \$ / მ²
საშუალო ქირა
12.3 \$ / მ²

მახინჯაური

გაყიდვების რაოდენობა
218 ბინა
საშუალო ფასი
1,292 \$ / მ²
საშუალო ქირა
N/A

შიდა არეალი

გაყიდვების რაოდენობა
794 ბინა
საშუალო ფასი
1,123 \$ / მ²
საშუალო ქირა
10.6 \$ / მ²

პერიფერიები

გაყიდვების რაოდენობა
484 ბინა
საშუალო ფასი
1,113 \$ / მ²
საშუალო ქირა
10.1 \$ / მ²

ქობულეთი

გაყიდვების რაოდენობა
178 ბინა
საშუალო ფასი
1,221 \$ / მ²
საშუალო ქირა
N/A



2024 წლის II კვარტლის შეჯამება

საცხოვრებელი უძრავი ქონება აჭარაში

2024 წლის II კვარტალში ბათუმის უძრავი ქონების ბაზარზე 3,670 ტრანზაქცია დარეგისტრირდა, რაც წლიურად 6.7%-იანი კლებაა. აღსანიშნავია, რომ ეს შემცირება გამოიწვია გაყიდვების კლებამ, როგორც პირველად, ასევე მეორად ბაზრებზე (-3.3% და -11.0% წ/წ, შესაბამისად). გაყიდვები შემცირდა ბათუმის ყველა რაიონში ახალი ბულვარის გარდა (+4.9% წ/წ).

ჯამურად ბათუმში 2024 წლის პირველ ნახევარში 7,041 ბინა გაიყიდა, რაც წლიურად 15.1%-იანი შემცირებაა წინა წლის პირველი ნახევრის მაღალი ბაზის ფონზე. ბათუმის უძრავი ქონების ბაზარი სენსიტიურია მიგრანტების ეტაპობრივი გადინებისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთების მიმართ, რაც უცხოელი მყიდველების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე ნეგატიურად მოქმედებს.

ბათუმში პირველად ბაზარზე საშუალო ფასმა განაგრძო ზრდა და კვარტალურად 2.2%-ით გაიზარდა, რამაც სავარაუდოა რომ, ნაწილობრივ განაპირობა კიდევ შესუსტებული მოთხოვნა. ფასები ასევე გაიზარდა მეორად ბაზარზეც (+2.7% კვ/კვ და +7.7% კვ/კვ, ახალი და ძველი ბინებისთვის, შესაბამისად), წინა თვეებში მცირედი შემცირების შემდეგ.



2024 წლის II კვარტალში ბათუმში სულ 229.7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბინა გაიყიდა, რაც წლიურად 5.1%-იანი შემცირებაა და გაყიდვების კლებას ასახავს. ასევე, ბათუმში გაიზარდა იჭარის ფასებიც, რაც სეზონურობით და ტურისტების შემოსვლით იყო გამოწვეული.

ბათუმში მიწის მწირი რესურსების ფონზე, უძრავი ქონების დეველოპმენტის არეალი თავდაპირველად ქალაქის მიმდებარე რაიონებში, გონიო-კვარიათსა და მახინჯაურში (19 და 20 მიმდინარე პროექტი, შესაბამისად) გაფართოვდა. ამჟამად ახალი მშენებლობების არეალი კიდევ უფრო გაფართოვდა აჭარის სანაპირო ზოლის გასწვრივ და მოიცავს ისეთ ტერიტორიებს, როგორცაა ჩაქვი, ციხისძირი, ქობულეთი და შეკვეთილი (ჯამში 29 მიმდინარე პროექტი).

2024 წლის II კვარტალში ქობულეთის პირველად ბაზარზე საშუალო შენონილი ფასი \$1,221/მ²-ს გაუტოლდა (+11.0% წ/წ), რაც პრემიუმ პროექტების მიწოდების ზრდითაა გამოწვეული. ასევე 2024 წლის II კვარტალში, უძრავი ქონების ბაზრის ზომა ქობულეთში წლიურად 11.5%-ით შემცირდა და 10.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაღალი ბაზის ეფექტითაა განპირობებული.

საცხოვრებელი უძრავი ქონება ბაკურიანში

2024 წლის II კვარტალში ბაკურიანში 221 ბინა გაიყიდა, რაც წლიურად 5.7%-იანი ზრდაა. ბაკურიანისთვის დამახასიათებელი ტენდენციის



შესაბამისად, მცირე ზომის ბინებმა (26-50 მ²) მთლიანი გაყიდვების 71.4% შეადგინა. ამასთანავე, გაყიდული ბინების 53.0% საშუალო ფასის სეგმენტიდან იყო (\$1,001 – 1,500).

ბაკურიანში ამჟამად 13 საცხოვრებელი პროექტის გაყიდვები მიმდინარეობს პირველად ბაზარზე.

2024 წლის II კვარტალში ბაკურიანში ბინების საშუალო შეწონილი ფასი წლიურად 7.8%-ით გაიზარდა და \$1,092/მ²-ს გაუტოლდა. ბაკურიანში გაყიდული ბინების ჯამურმა ღირებულებამ 10.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 14.7%-იანი ზრდაა.

საცხოვრებელი უძრავი ქონება გუდაურში

2024 წლის II კვარტალში გუდაურში 74 ბინა გაიყიდა, რაც წლიურად მცირედი 1.3%-იანი შემცირებაა. მცირე ზომის ბინებმა (26-50 მ²) მთლიანი გაყიდვების 73.0% შეადგინა. ამასთანავე, გაყიდული ბინების 55.4% საშუალო ფასის სეგმენტიდან იყო (\$1,001 – 1,500). გუდაურში ამჟამად 6 დასრულებული საცხოვრებელი პროექტის გაყიდვები მიმდინარეობს პირველად ბაზარზე.

2024 წლის II კვარტალში გუდაურში ბინების საშუალო შეწონილი ფასი უცვლელად \$1,420/მ²-ზე დარჩა. გუდაურში გაყიდული ბინების ჯამურმა ღირებულებამ 4.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 12.3%-იანი ზრდაა.




საცხოვრებელი უძრავი ქონება ბათუმში

მეთოდოლოგიური შენიშვნა - ჩვენ ვყოფთ უძრავი ქონების გაყიდვებს სამ კატეგორიად:


- 1) პირველადი გაყიდვები - სამშენებლო კომპანიების/დველოპერების მიერ გაყიდული უძრავი ქონება
- 2) მეორადი გაყიდვები ახალ პროექტებში - ინდივიდუალური მესაკუთრის მიერ გაყიდული უძრავი ქონება 2013 წლის შემდეგ გაცემული სამშენებლო ნებართვით აშენებულ პროექტებში
- 3) მეორადი გაყიდვები ძველ პროექტებში - ინდივიდუალური მესაკუთრის მიერ გაყიდული უძრავი ქონება 2013 წლამდე გაცემული სამშენებლო ნებართვით აშენებულ პროექტებში

გრაფიკი 1: გაყიდული ბინების რაოდენობა კვარტალურად ბათუმში, '000 ცალი




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 2: გაყიდული ბინების რაოდენობა წლიურად ბათუმში, '000 ცალი




გრაფიკი 3: ბაზრის ზომა კვარტალურად ბათუმში, მლნ აშშ დოლარი




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 4: ბაზრის ზომა წლიურად ბათუმში, მლნ აშშ დოლარი






გრაფიკი 5: მთლიან ბაზარზე გაყიდული ბინების რაოდენობა უბნების მიხედვით




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თავარტი

გრაფიკი 6: პირველად ბაზარზე გაყიდული ბინების რაოდენობა უბნების მიხედვით




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თავარტი

გრაფიკი 7: უძრავი ქონების გაყიდვები ზომის მიხედვით ბათუმში (მთლიანი გაყიდვების %)





წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თავარტი

გრაფიკი 8: უძრავი ქონების გაყიდვები ფასის სეგმენტის მიხედვით ბათუმში (მთლიანი გაყიდვების %)






გრაფიკი 9: უძრავი ქონების საშუალო შენონილი ფასები ბათუმში, აშშ დოლარი/მ²



წყარო: საჯარო რეგისტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 10: უძრავი ქონების ფასები პირველადი ბაზრის თეთრი კარკასის ბინებზე უბნების მიხედვით, აშშ დოლარი/მ²



წყარო: გალტ & თაგარტი

შენიშვნა: სანაპირო ხაზი არ არის მოცემული პროექტების მცირე რაოდენობის გამო


გრაფიკი 11: ქირის საშუალო შენონილი ფასები, აშშ დოლარი/მ²



წყარო: ნუმბეო, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ქირები მოცემულია ბათუმში ახალშენებულ 30-60 მ² ბინებზე. ზოგიერთი უბანი არ არის მოცემული მონაცემების მცირე რაოდენობის გამო


გრაფიკი 12: ქირის შემოსავლიანობა ქალაქის ცენტრის გარეთ, ივნ-23






საცხოვრებელი უძრავი ქონება სამთო კურორტებზე

გრაფიკი 13: გაყიდული ბინების რაოდენობა კვარტალურად ბაკურიანში




წყარო: საჯარო რეგისტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 14: გაყიდული ბინების რაოდენობა წლიურად ბაკურიანში




გრაფიკი 15: გაყიდული ბინების რაოდენობა კვარტალურად გუდაურში




წყარო: საჯარო რეგისტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 16: გაყიდული ბინების რაოდენობა წლიურად გუდაურში




გრაფიკი 17: უძრავი ქონების ბაზრის ზომა ბაკურიანსა და გუდაურში, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საჯარო რეგისტრი, გალტ & თაგარტი




გრაფიკი 18: უძრავი ქონების გაყიდვები ზომის მიხედვით ბაკურიანში (მთლიანი გაყიდვების %)




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 19: უძრავი ქონების გაყიდვები ფასის სეგმენტის მიხედვით ბაკურიანში (მთლიანი გაყიდვების %)




გრაფიკი 20: უძრავი ქონების გაყიდვები ზომის მიხედვით გულაურში (მთლიანი გაყიდვების %)




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 21: უძრავი ქონების გაყიდვები ფასის სეგმენტის მიხედვით გულაურში (მთლიანი გაყიდვების %)



გრაფიკი 22: უძრავი ქონების ფასები პირველადი ბაზრის თეთრი კარკასის ბინებზე, აშშ დოლარი/მ²



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი



დანართი

ცხრილი 1: უძრავი ქონების გაყიდვები ქალაქების მიხედვით - ღირებულება, რაოდენობა და ფართობი, 2024 წლის I ნახევარი

ქალაქი	ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)	რაოდენობა	ფართობი ('000 მ ²)
ბათუმი	439.0	7,041	364.4
ქობულეთი	22.1	379	19.6
ბაკურიანი	20.8	441	20.2
გუდაური	8.6	169	6.9


წყარო: საჯარო რეესტრი, გალატ & თაგარტი

ცხრილი 2: უძრავი ქონების გაყიდვების მახასიათებლები ქალაქების მიხედვით - საშუალო ზომა და ფასები, 2 კვ 24

ქალაქი	ბინის საშუალო კვადრატულობა (მ ²)	მ ² -ის საშუალო ფასი (აშშ დოლარი)	ბინის საშუალო ფასი (აშშ დოლარი)
ბათუმი	51	1,366	69,718
ქობულეთი	52	1,221	63,756
ბაკურიანი	47	1,092	51,292
გუდაური	46	1,420	64,856

წყარო: საჯარო რეესტრი, გალატ & თაგარტი

გრაფიკი 23: მშენებლობის ღირებულების ინდექსი, I კვარტალი 2019=100



კატეგორია	წ/წ ზრდა ივნ-24, აშშ დოლარი	თვე/თვე ზრდა ივნ-24, აშშ დოლარი
მშენებლობის ღირებულება	3.8%	3.3%
სამშენებლო მასალები	-0.4%	3.2%
ბელფასები	20.5%	3.3%
ტექნიკა	2.2%	3.4%
ტრანსპორტი, საწვავი და ელექტროენერჯია	6.3%	4.9%
სხვა ხარჯები	-2.1%	2.8%

წყარო: საქსტატი, გალატ & თაგარტი

შენიშვნა: მშენებლობის ღირებულების ინდექსი ქვეყნდება კვარტალურად 2019-22 წლებში, მაგრამ შეწყდა და გადავიდა ყოველთვიურ ანგარიშგებაზე 2022 წლის მარტიდან



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური კოლიდაციური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილული საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იტვირთენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარისადაც უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია შესაძლო მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლოა მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად არევენ, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცილობა ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოკლული არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებად უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების უფროსი
კახა სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ზურაბ თავკელიშვილი | ztavkelishvili@gt.ge

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge